საქართველოს ბანკი

№ _____

"___" _____ 20___

OCSC259591839

03/12/2025

ქ. თბილისი მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

თანხმობა

გაცნობებთ, რომ სს ,,საქართველოს ბანკი", როგორც იპოთეკარი, თანახმაა, რომ სს ,,საქართველოს ბანკი"-ს უფლების საგანზე შპს სწრაფმშენი ს/ნ 405170452 წარმომადგენელი დირექტორი : ზვიად დალალიშვილი პ/ნ 47001003589 სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობით 1000 კვ.მ, მდებარე : ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ჰუგო ჰუპერტის ქუჩა N45. (ს/კ:01.72.14.040.781) განხორციელდეს პროექტის შეთანხმება/მშენებლობის,ნებართვა/შენობა–ნაგებობების მშენებლობა/ექსპლუატაციაში მიღება, შეთანხმებულუი პროექტის კორექტირება, იმ პირობით, რომ სს ,,საქართველოს ბანკი"-ს სასარგებლოდ რეგისტრირებული უფლების (იპოთეკის ხელშეკრულების #NMA0002006455 განაცხადის რეგისტრაციის ნომერი # 892024307758 , დამოწმებული 31/08/2024 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოს მიერ, მონაცემები შენარჩუნდება უცვლელად.

პატივისცემით,
სოფიო ხოჯანაშვილი
საცალო ბიზნესის ჯგუფის უფროსი
თარიღი: 03.12.2025

თბილისი 0160,
გაგარინის ქუჩა N29ა.
(0 32) 2 444 444
www.bog.ge

მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“) 31-ე, 34-ე და 39-ე მუხლისა და საგადასახადო კოდექსის 169 მუხლისა.

მარწმუნებელი

მიხეილ გომართელი

ნოტარიუსი

ირმა შარვაძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

12938274719518

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N181298405

რეგისტრაციის თარიღი

19.10.2018 წ

ნოტარიუსი: ირმა შარვაძე
მისამართი: თბილისი, ჟ. შარტავას 42
ტელეფონი: 2238372

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

10/19/2018 6:33 PM

რწმუნებულება

მე, სს „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე **მიხეილ გომართელი** (შემდგომში - მარწმუნებელი), ვანიჭებ უფლებამოსილებას **სოფიო ხოჯანაშვილს** (პირადი ნომერი: 01030013717), რათა მან მარწმუნებლის (სს „საქართველოს ბანკის“) სახელით:

1. ხელი მოაწეროს გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებას ულიმიტოდ.
2. ხელი მოაწეროს 2,000,000 (ორი მილიონი) აშშ დოლარის (შესაბამისი კურსით სხვა ვალუტაში) ფარგლებში მარწმუნებლის მიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გასაცემ კრედიტის, საკრედიტო ხაზის, ოვერდრაფტის გაცემასთან დაკავშირებულ შესაბამის საკრედიტო, საკრედიტო ხაზის და ოვერდრაფტის დოკუმენტ(ებ)ს/ხელშეკრულება(ებ)ს/შეთანხმება(ებ)ს/გარიგება(ებ)ს.
3. ხელი მოაწეროს მარწმუნებლის მიერ გასაცემ გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების შემადგენელ საკრედიტო, საკრედიტო ხაზის და ოვერდრაფტის დოკუმენტ(ებ)ს/ხელშეკრულება(ებ)ს/შეთანხმება(ებ)ს/გარიგება(ებ)ს 2,000,000 (ორი მილიონი) აშშ დოლარის (შესაბამისი კურსით სხვა ვალუტაში) ფარგლებში.
4. ხელი მოაწეროს გირავნობის, იპოთეკის, თავდებობის ხელშეკრულებებს ულიმიტოდ ან/და უზრუნველყოფის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ს/ხელშეკრულება(ებ)ს/შეთანხმება(ებ)ს/გარიგება(ებ)ს.
5. ხელი მოაწეროს ბანკის მიერ კლიენტი-კომპანიების აუდიტორებისათვის წარსადგენ წერილობით დოკუმენტაციას.
6. ხელი მოაწეროს ზემოაღნიშნული უფლებამოსილების შესრულებასთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის დოკუმენტაციას.
7. შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ან აუკრძალავი ნებისმიერი ქმედება, რომელიც პირდაპირ არ არის მითითებული წინამდებარე რწმუნებულებაში, მაგრამ რწმუნებულის აზრით საჭიროა და აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის, აგრეთვე წინამდებარე რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილებებისა და გაცემული დავალებების შესასრულებლად.

რწმუნებულება გაცემულია განუსაზღვრელი ვადით.

რწმუნებულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს ირმა შარვაძის სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია სახელმწიფო 10 (ათი) ლარი, 20 (ოცი) სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული მოქმედებისათვის, დღგ 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, რეგისტრაციის საფასური 2 (ორი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა (29.12.2011წ. №507 „სანოტარო

საქართველო

სანოტარო აქტი

მე, ნოტარიუს ირმა შარვაძეს (სანოტარო ბიურო მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ.№42) სს „საქართველოს ბანკის“ სათავო ოფისში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, გაგარინის ქ. №29ა, მომმართა **მიხეილ გომართელმა,** რომელმაც განაცხადა, რომ არის სს „საქართველოს ბანკის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204378869) გენერალური დირექტორის მოადგილე, რაც დასტურდება სს „საქართველოს ბანკის“ ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (რომელიც ინახება ჩემს არქივში) და რწმუნებულებით, გაცემული სს საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის კახაბერ კიკნაველიძის მიერ 2016 წლის 21 ოქტომბერს, დამოწმებული ნოტარიუს ირმა შარვაძის მიერ, რეესტრში რეგისტრაციის ნომერი 161218152 (რომელიც ინახება ჩემს არქივში). **მიხეილ გომართელმა,** მოითხოვა რწმუნებულების შედგენა **სოფიო ხოჯანაშვილის** სახელზე და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე **მიხეილ გომართელის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე წამდვილად მიხეილ გომართელმა (დაბადებული 31.07.1975წ. ქ. თბილისში, პირადი ნომერი: 01007008711, მცხოვრები: თბილისში, აგლაძის ქ.№38, ბინა №75) მომმართა, დავადგინე მისი ქმედუნარიანობა, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. აგრეთვე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შემდეგ შევადგინე წინამდებარე რწმუნებულება, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელს. მარწმუნებელმა წაიკითხა რწმუნებულება და განაცხადა, რომ რწმუნებულება ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ **მიხეილ გომართელმა** ხელი მოაწერა შემდეგ რწმუნებულებას:

მარწმუნებელი

მიხეილ გომართელი მიხეილ გომართელი